



ფისკალურ პოლიტიკაში საზოგადოების მონაწილეობის პრინციპები

1
სელისუნაწვდომობა

საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობა სრული ფისკალური ინფორმაციისა და ყველა სხვა შესაბამისი მონაცემის გავრცელების გზით, იმგვარი ფორმატებისა და მექანიზმების გამოყენებით, რომლებიც ყველასთვის ხელმისაწვდომი, მარტივად გასაგები და გამოსაყენებელია, ასევე ექვემდებარება მრავალჯერად გამოყენებასა და ტრანსფორმირებას, კერძოდ ღია მონაცემთა ფორმატებში.

2
ღიაობა

სრული ინფორმაციის მიწოდება და მოქნილი მიდგომა თითოეული ჩართულობის მიზანთან, მასშტაბთან, შეზღუდვებთან, მოსალოდნელ შედეგებთან, განხორციელების პროცესსა და გრაფიკთან, ასევე საზოგადოების მონაწილეობის მოსალოდნელ და ფაქტიურ შედეგებთან მიმართებაში.

3
ინალუზიურობა

სხვადასხვა მექანიზმის პროაქტიური გამოყენება, რათა უზრუნველყოფილი იქნას მოქალაქეებისა და არასახელმწიფო სუბიექტების, მათ შორის, მარგინალიზებული და მოწყვლადი ჯგუფებისა თუ პირების, ასევე იმ პირთა ჩართულობა, ვის აზრსაც იშვითად უსმენენ, ეროვნების, რასის, ეთნიკური წარმოშობის, რელიგიური მრწამსის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, უნარშეზღუდულობის, ასაკის ან საზოგადოებრივი მდგომარეობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე; და საზოგადოების მხრიდან წარმოდგენილი წინადადებების გათვალისწინება, ობიექტურ საფუძველზე, მათი წყაროს მიუხედავად.

4
თქმითაქმნის მიმართ პატივისცემა

პირებისა და თემების, მათ შორის, უშუალო შემხებლობის მქონე პირების მხარდაჭერა და შესაძლებლობის მიცემა, მათთვის მისაღები ფორმით გამოხატონ თავიანთი ინტერესები და აირჩიონ მონაწილეობის მათთვის სასურველი საშუალებები, იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ შესაძლებელია არსებობდეს ჯგუფები, რომლებსაც გააჩნია სხვების სახელით საუბრის უფლებამოსილება.

5
დროულობა

პოლიტიკისა და საბიუჯეტო ციკლების ფარგლებში საზოგადოებისთვის საკმარისი დროის მიცემა თითოეულ ფაზაში წინადადებების წარდგენისთვის; ჩართულობა ადრეულ ეტაპზე, სანამ არსებობს სხვადასხვა ვარიანტების განხილვის შესაძლებლობა; და, მიზანშეწონილობის შემთხვევაში, საზოგადოების მონაწილეობით ერთზე მეტი რაუნდის გამართვა.

6
სიღრმე

საზოგადოების მონაწილეობის თითოეული შემთხვევის მხარდაჭერა ყველა ტიპის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების, პოლიტიკის ძირითადი მიზნების, ვარიანტების, ალტერნატივებისა და კომპრომისული გადაწყვეტილებების წინა პლანზე წამოწევისა და გაშუქების, სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ სფეროებზე პოტენციური ზემოქმედების განსაზღვრის, და სხვადასხვა პერსპექტივების გათვალისწინების გზით; დროული და კონკრეტული უკუკავშირი საზოგადოების მიერ წარდგენილი წინადადებებისა და იმის შესახებ, თუ რა ფორმით აისახა ან არ აისახა ისინი ოფიციალურ პოლიტიკასა თუ რეკომენდაციებში.

7
პროპორციულობა

მონაწილეობის სხვადასხვა მექანიზმის გამოყენება საკითხის ან პოლიტიკის მასშტაბისა და მნიშვნელობის პროპორციულად.

8
მღვრადობა

ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურის მიერ ჩართულობის ღონისძიებების უწყვეტ და რეგულარულ რეჟიმში ჩატარება ცოდნის გაზიარებისა და დროთა განმავლობაში ურთიერთნდობის გაძლიერების მიზნით; საზოგადოების მონაწილეობის ინსტიტუციონალიზაცია, თუ ეს საჭირო და ეფექტიანია, რაც, საზოგადოებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, უზრუნველყოფს ფისკალურ პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გადასინჯვას; და გამოცდილების რეგულარული განხილვა და შეფასება მომავალში ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

9
ურთიერთშეხვედრის უწყვეტობა

საზოგადოების მონაწილეობისა და მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების ურთიერთშეხვედრის უზრუნველყოფა და მმართველობისა და ანგარიშვალდებულების არსებული სისტემების ეფექტიანობის ამაღლება.

10
ურთიერთვალდებულებები

საზოგადოების ჩართულობის ღონისძიებებში მონაწილე სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურები ღიად უნდა საუბრობდნენ იმის შესახებ, თუ რა წარმოადგენს მათ მისიას, ინტერესებს, რომელთა დაცვასაც ისინი ცდილობენ, და რას წარმოადგენენ თავად ისინი; უნდა კისრულობდნენ ჩართულობასთან დაკავშირებით მათ მიერ შეთანხმებული ყველა წესის შესრულების ვალდებულებას; და უნდა თანამშრომლობდნენ ჩართულობის მიზნების მისაღწევად.